საქართველოს კანონი

„პროკურატურის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე

მუხლი 1. „პროკურატურის შესახებ“ საქართველოს კანონის (საქართველოს საკანონმდებლო მაცნე, №27, 27.10.2008, მუხ. 170) 8^1 მუხლში შეტანილ იქნეს შემდეგი ცვლილება:

ა) მე-2 პუნქტის „გ“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„გ) საქართველოს პარლამენტის 2 წევრი, რომელთაგან ერთს თავის წევრთაგან ირჩევს საპარლამენტო უმრავლესობა, ხოლო, მეორეს - იმ წევრთაგან, რომლებიც არ შედიან საპარლამენტო უმრავლესობაში, ირჩევენ უმრავლესობის გარეთ მყოფი პარლამენტის წევრები საქართველოს პარლამენტის რეგლამენტით დადგენილი წესით. თუ საპარლამენტო უმრავლესობა არ არის შექმნილი, საპარლამენტო ფრაქციებსა და პარლამენტის წევრებს, რომლებიც არც ერთ ფრაქციაში არ არიან გაერთიანებულნი, უფლება აქვთ, გაერთიანდნენ საპროკურორო საბჭოს ერთი წევრის ასარჩევად, თუ ამ გაერთიანების წევრთა რაოდენობა პარლამენტის სრული შემადგენლობის ნახევარს აღემატება. ასეთ შემთხვევაში დანარჩენ ფრაქციებსა და პარლამენტის იმ წევრებს, რომლებიც გაერთიანებული არ არიან არც ერთ ფრაქციაში, გარდა ზემოაღნიშნული ასეთი წევრებისა, უფლება აქვთ, აირჩიონ საპროკურორო საბჭოს მეორე წევრი. არჩევის წესი პარლამენტის რეგლამენტით განისაზღვრება;“;

ბ) მე-3 პუნქტის შემდეგ დაემატოს შემდეგი შინაარსის 3^1 პუნქტი:

„3^1. ერთი და იგივე პირი ამ მუხლის მე-2 პუნქტის „ბ“-„ე“ ქვეპუნქტებში მითითებულ საპროკურორო საბჭოს წევრად არ შეიძლება აირჩეს ზედიზედ ორჯერ. საპროკურორო საბჭოს წევრმა არ შეიძლება შეასრულოს საბჭოს წევრის მოვალეობა უფლებამოსილების ვადის ამოწურვის შემდეგ. საპროკურორო საბჭოს ახალი წევრი უნდა აირჩეს საპროკურორო საბჭოს შესაბამისი წევრის უფლებამოსილების ვადის ამოწურვამდე არაუადრეს 30 კალენდარული დღისა და ამ ვადის ამოწურვიდან არაუგვიანეს 7 კალენდარული დღისა, ხოლო მისი უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტის შემთხვევაში – უფლებამოსილების შეწყვეტიდან არაუგვიანეს 1 თვისა. თუ საქართველოს პარლამენტის მიერ საპროკურორო საბჭოს ახალი წევრის არჩევისას ეს ვადები მთლიანად ან ნაწილობრივ დაემთხვა საქართველოს პარლამენტის სესიებს შორის პერიოდს, ამ პუნქტით არჩევნებისთვის განსაზღვრული ვადა შესაბამისი დროით გაგრძელდება.“.

მუხლი 2. ეს კანონი ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

საქართველოს პრეზიდენტი *გ. მარგველაშვილი*